საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 მაისი, 2014 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/16

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე ,,სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 23 ოქტომბრის №02/66547, 2013 წლის 07 ოქტომბრის №02/90152 და 2014 წლის 30 აპრილის №02/35935 წერილების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანებისა და ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორ დავით ცეცხლაძის 2014 წლის 06 აპრილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 26 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;

2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2014 წლის 7 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 26–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი **ი. ბარამიძე**